ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N10

01.03.2018

12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბიუროს სხდომათა დარგაზი

მიმდინარე წლის 1 მარტს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით უჯმაჯურიძე, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა *(12-03180531-03, 22.02.2018)* (**მომხსენებელი - ირაკლი გვილავა,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი);
2. **მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ირაკლი გვილავა - მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ**". აღნიშნულ წესებში ცვლილებები განპირობებულია, ორი საქალაქო სამსახურის გაერთიანებით.

დადგენილების პროექტით, ძირითადი ცვლილება ხორციელდება ერთიანი სტანდარტის შემუშავებით, თბილისის მთავრობაზე გასატანი პროექტების ლიმიტთან დაკავშირებით, კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსების წესი განსხვავდებოდა განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისი წესისგან, აღნიშნული ცვლილებით კი მთელი სამსახურის კუთხით დაბალანსდება და მოექცევა ერთიანი მართვის წესში. აღნიშნული ფორმა სამსახურის პრაქტიკულ საქმიანობაში ამართლებდა, რაც შეეხება მომავალს ვიმედოვნებთ, რომ მუშა პროცესიდან გამომდინარე კიდევ უფრო დაიხვეწება აღნიშნულ წესები, განმარტა სამსახურის უფროსმა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე- წარმოდგენილ პროექტში არის ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, დანართი 2-ის **1-ლი მუხლის მე-6 პუნქტში** გასასწორებელია საქალაქო სამსახურის დასახელება, (გადმოტანილია ძველი რედაქციით) დასახელებას უნდა დაემატოს სიტყვა „კულტურის" და დანართი 2-ის წესის **მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში** სამინისტროს დასახელება მითითებულია ძველი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" *(12-03180531-03, 22.02.2018)* საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, გიორგი მუსხელიშვილი, ავთანდილ ცინცაძე (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)) ;

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის *(№12-03180531-03, 22.02.2018წ.)* აღნიშნული ცვლილებებით/შენიშვნებით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის თაობაზე.

კომისიამ ასევე განიხილა შპს ,,ჯინო პარკის" გენერალური დირექტორის რამაზ მიქაძის წერილი N2018/018 (რეგისტრაციის N10/031805421-03.23.02.2018) საგადასახადო შეღავათით სარგებლობის თაობაზე.

გიორგი ჩაკვეტაძე- შპს. „ჯინო პარკის“ ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველია *„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“* ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილება, რითაც სპორტულ ობიექტებს ქონების გადასახადი შეუმცირდათ, აქედან გამომდინარე ორგანიზაცია ითხოვს საკრებულომ აღიაროს სპორტულ ობიექტად, რათა ისარგებლოს იგივე სახის შეღავათით, რითაც სპორტული ცენტრები სარგებლობენ. საკრებულო და მის მიერ მიღებული დადგენილება არ აწესრიგებს ისეთ საკითხებს, რომლებიც შეეხება საწარმოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებას, შემოსავლების სამსახურის მიერ ხდება აღნიშნული თემატიკის კონტროლი.

ირაკლი ზარქუა- 2014 წლის 30 დეკემბერს დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი გადასახადის შემცირების შესახებ, სადაც სპორტის დარგში საქმიანობა დაიბეგრებოდა 0.001% , რომლის საფუძველზეც აკეთებს განაცხადს აღნიშნული ორგანიზაცია, შეიძლება მოხერხდეს გარკვეული მხარდაჭერა გადავადების ან გადანაწილების საკითხში, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია არაა სრულად სპორტული პროფილის და ორიენტირებულია მოგებაზე, მიუხედავად მის მიერ სხვადასხვა სპორტულ უწყებებთან თანამშრომლობისა.

ლევან ჯაფარიძე- აღნიშნულ ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს ხუთი სპორტული ტურნირი, რაც შეიძლება ვეღარ ჩაატაროს არსებული პრობლემებიდან გამომდინარე.

გიორგი ჩაკვეტაძე- უნდა შევჯერდეთ ერთობლივ პოზიციაზე და ისე ვიმოქმედოთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ამ დროისათვის ჩვენ შეგვიძლია მოვამზადოთ წერილი ფინანსთა სამინისტროს სახელზე, ვთხოვოთ განიხილონ აღნიშნული საკითხი და იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში.

ირაკლი ზარქუა- მხარს ვერ დაუჭერ, კომპლექსის სრულ განთავისუფლებას გადასახადისაგან, მხოლოდ რესტრუქტურიზაციაზე შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია და წინა წლების დავალიანებაზე 10-20% შეღავათი მიიღოს.

დავით რურუა - აღნიშნული კომპლექსში საწყალოსნო სახეობისათვის არაა სტანდარტული პარამეტრების აუზი, ამავდროულად ძალიან მაღალი ფასებია რიგითი სპორტსმენებისთვის.

ავთანდილ ცინცაძე- თუ აღნიშნული ორგანიზაცია გაუკეთებს შეღავათებს სპორტულ ფედერაციებს შეიძლება შეღავათზე ისაუბროს დედაქალაქის საკრებულომაც.

იურიდიულ საქმეთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელმა განაცხადა და აღნიშნა შემოსავლების სამსახურის მხრიდან გამოგზავნილი წერილის შესახებ, სადაც სამსახურმა დასვა რამოდენიმე შეკითხვა საკრებულოს წინაშე, კერძოდ: რას გულისხმობდა საკრებულო **2014 წლის 30 დეკემბრის N20-90** დადგენილებაში, ახორციელებდა თუ არა აღნიშნული ორგანიზაცია სრულად იმ მიმართულებას, რასაც გულისხმობდა ეკონომიკის სამინისტრო აღნიშნულ კლასიფიკაციაში სპორტულ ობიექტებთან მიმართებაში, მეორე შეკითხვაც ჰქონდა შემოსავლების სამსახურს ნაწილობრივ შეღავათზე, კომპლექსის კონკრეტულ სპორტულ ობიექტებზე, დადგენილებამ მათ მისცათ უფლება მოეთხოვათ შეღავათების მიღება იმ ნაწილზე, რაც სპორტის დარგად მოიაზრება, იურიდიული კომისია არ ემხრობა სრულად განთავისუფლებას, რადგან არ გახლავთ უფლებამოსილი, ხოლო შემოსავლების სამსახური უნდა დაეყრდნოს ბრძანებას სადაც განსაზღვრულია კლასიფიკაცია, ჩვენ კი შეგვიძლია მოვიქცეთ ანალოგიურად, როგორც წინა მოწვევის

საკრებულო მოიქცა და გაიგზავნოს იგივე შინაარსის წერილი. საკრებულომ მიიღო შეღავათი, მაგრამ სპორტის დარგად რა ითვლება ეს უკვე სამინისტროს პრეროგატივაა.

გიორგი ჩაკვეტაძე- ორშაბათს, 14:00 საათზე სამუშაო შეხვედრა ჩაინიშნოს და გაფართოვებულ ფორმატში მოვუსმინოთ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო აღნიშნული კორესპოდენცია და სამუშაო შეხვედრაზე შეთანხმდა, სადაც შპს ,,ჯინო პარკის" წარმომადგენელს შეხვდებიან და დეტალურად იმსჯელებენ ორგანიზაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე